ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 325

« 15 » აგვისტო 2017 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6003 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ნაკვეთი N43/283) (საკადასტრო კოდი: 01.72.14.043.283) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი წარმომადგენლებისთვის, უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის 419 განკარგულების, „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6003 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ნაკვეთი №43/283) (საკადასტრო კოდი: 01.72.14.043.283) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრების/მათი წარმომადგენლების, უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 ივნისის №23.22.469 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში დიდი დიღმის დასახლების IV მიკრო რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6003 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ნაკვეთი №43/283) (საკადასტრო კოდი: №01.72.14.043.283) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 ივნისის №23.22.469 განკარგულების დანართი 1-ით განსაზღვრული – ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი